

დადი ჩიტუნაშვილი
Dali Chitunashvili

**ნერსეს შნორალის „სარწმუნოებით ვაღიარებ“ და უცნობი
ქართული თარგმანები**
**Nerses Shnorhali „I Confess with Faith” and its Unknow
Georgian Translations**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ნერსეს შნორალი, თარგმანი, გოჩედი, ფარნავაზი,
XVIII საუკუნე.

Keywords: Nerses Shnorhali, Translation, Goreli, Pharnavaz, 18th century.

ნერსეს შნორალი (მიმადლებული) XII საუკუნის ცნობილი სომეხი მოღვაწე, ფილოსოფოსი, პოეტი და მთარგმნელი, ფაშლავუნთა საგვარეულო სახლის წარმომადგენელი იყო. მისი პაპა, გრიგოლ მაგისტროსი ფაშლავუნი - ცნობილი სომეხი მწერალი, მთარგმნელი და ფილოსოფოსი გახლდათ. ნერსესის მამას, აპირატ ფაშლავუნის ეკუთვნოდა წოფქის ციხე, ტლუქის გავარში (ანტიოქია), ზოგიერთი წყაროს ცნობით, სწორედ აქ 1100 წელს დაიბადა ნერსესი. აქვე იზრდებოდა მისი უფროსი ძმა გრიგოლიც, რომელიც შემდგომში სომხეთის კათალიკოსი გახდა.

შუა საუკუნეებში ანტიოქია - აღმოსავლური ქრისტიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა, საკუთარი მონასტრები ჰქონდათ ანტიოქიასა და შავ მთაზე სომხებსაც. ამ მულტიკულტურულ გარემოში მიიღო ნერსესმა თავდაპირველი განათლება. მისი პირველი აღმზრდელი გრიგოლ ვკაიასერი (მარტვილთმოყვარე), სომხეთის კათალიკოსი (1066-1105 წწ.) [Բրիստიანայ Հայաստան, 2002:227] იყო, რომელიც თავად ზრუნავდა თავის დისშვილებზე - ნერსესა და გრიგოლზე. გრიგოლ ვკაიასერის გარდაცვალების შემდეგ კი (1105 წ.) ძმებზე ზრუნვა საკუთარ თავზე აიღო ანისიდან საგანგებოდ ჩამოსულმა ბარსელ ფაშლავუნმა [Բրիստიანայ Հայաստան, 2002:175]. ეს უკანასკნელი მამის მხრიდან ენათესავებოდა გრიგოლსა და ნერსესს. ბარსელმა ახალგაზრდა ფაშლავუნების აღზრდა მიანდო ქესუნში - კარმირ ვანქში (წითელი მონასტერი, შავი მთა) მყოფ სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ გამორჩეულ მოძღვარს - სტეფანე ტლას (ყრმას). კარმირ ვანქის მონასტერი მნიშვნელოვან საგანმანათლებლო ცენტრს წარმოადგენდა, სადაც აღიზარდნენ ისეთი ცნობილი სომეხი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ სამუელ შნორალი, იგნატიოს შნორალი და სხვ. ნერსესმა აქ სრულყოფილად შეისწავლა წმინდა წერილი, ჰაგიოგრაფია, საეკლესიო სამართალი, ფილოსოფია, დოგმატიკა, სომხური ისტორიოგრაფია და სხვ. როგორც აღნიშნავს კირაკოს განძაკელი, ნერსესი ცოდნით გამოირჩეოდა არა მხოლოდ სომეხთა, არამედ ბერძენთა და სირიელთა შორისაც [Կիրակոս Գանձակեցի, 1961:118-119].

მრავალმხრივია ნერსესის ლიტერატურული მოღვაწეობა: მას ეკუთვნის ჰომილეტიკური, ეგზეგეტიკური, პოლემიკური და დოგმატური ხასიათის შრომები [Աբელიან, 1946:73-102]. გრიგოლ ნარეკელის (IX ს.) შემდეგ სომხური ჰიმნოგრაფია სწორედ ნერსეს შნორალის უნდა უმაღლოდეს საგალობელი მასალის სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას, სომხურ სასულიერო პოეზიაში ახალი საზომებისა და მხატვრული სახეების შემოტანას. ნერსესს ეკუთვნის მრავალი ტალი და განძი, მათ შორის საგალობლები თრდატ მეფისა, აშხენ დედოფლისა, ავარაირის ბრძოლის დროს დაღუპული სომეხი მხედრებისა და სხვ.

ნერსეს შნორალის შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს ისეთი ცნობილი პოეტური ნაწარმოებები, როგორებიცაა „ედესის გლოვა“ (1121), „სიტყვა რწმენისათვის“ (1151), „იესო ძე კაცისა“ (1152), და სხვა. უბრალო ადამიანებს შორის საუკუნეების განმავლობაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ნერსეს შნორალის პოეტური ფორმით დაწერილი 100-ზე მეტი გამოცანა.

გამორჩეულია ნერსეს შნორალი, როგორც კათალიკოსი და საზოგადო მოღვაწე, საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ინტერესების დამცველი. ის სომხეთის კათალიკოსი 1166 წელს გახდა და ამ თანამდებობაზე საკუთარი ძმა, გრიგოლი, შეცვალა. XII საუკუნის მიწურულს კილიკიის სომხეთი დიდი გამოწვევის წინაშე იდგა, ნერსესი, როგორც სომხეთის კათალიკოსი იყო მთავარი მონაწილე 1170 წელს ჰრომკლაში გამართულ მანუელ იმპერატორის წარმომადგენელ თეოფანესთან შეხვედრისას, რომლის დროსაც დებატები სომხური ეკლესიის მრწამსზე მიმდინარეობდა. სწორედ ამ წელს დაწერა ნერსეს შნორალიმ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნაწარმოები „სარწმუნოებით ვაღიარებ“, რომელიც „მრწამსის“ პოეტურად გარდამოცემის საუკეთესო ნიმუშია: თხზულება შედგება 24 სტროფისაგან, რომელიც დღე-ღამის 24 საათს შეესაბამება და თემატურად ერთიანდება, პირველი ორი სტროფი – მრწამსს ეხება, შემდეგი ექვსი – მონანიებას, შემდგომი თხუთმეტი – ლოცვას და ბოლო სტროფი არის ვედრება უფლის მიმართ.

ფორმის სისადავემ და დახვეწილობამ თხზულების განსაკუთრებული ცნობადობა და პოპულარობა გამოიწვია, მას ხშირად ურთავდნენ ფსალმუნის სომხურ გამოცემებს. ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ნაბეჭდი ვერსია 1616 წელს ლვოვში გამოცემული ფსალმუნია, რომელსაც ბოლოში ერთვის „სარწმუნოებით ვაღიარებ“ [Մաղմուսարան, 1616].

თხზულების პოპულარობამ განაპირობა ისიც, რომ ლოცვა მსოფლიოს მრავალ ენაზე ადრევე უთარგმნიათ. როგორც ჩანს, ნერსეს შნორალის პიროვნება ერთნაირად მისაღები იყო როგორც სომხური მართლმადიდებლური კონფესიის წარმომადგენლებისთვის, ისე კათოლიკეებისა და ქართველებისათვისაც კი, ამიტომაც არის, რომ ანტონ I კათალიკოსი მას „მოყვარე მართლმადიდებლობისა“ უწოდებს [ანტონ I საქართველოს კათალიკოსი, 1892:117]¹. ამგვარმა დამოკიდებულებამ განაპირობა „სარწმუნოებით აღვიარების“ 1823 წლის გამოცემა, რომელშიც ძველი სომხური ტექსტის გვერდით ვენეციის მხითარისტებმა დაბეჭდეს ამ ლოცვის თარგმანი 24 ენაზე [Nersetis Clajensis Armeniorum Patriarchae, 1823], 1862 წელს კი რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე II-ის ხელშეწყობით, ვენეციაში იბეჭდება ნერსესის თხზულების ძველი სომხური ტექსტი 33 ენაზე შესრულებული თარგმანებით [Nersetis Clajensis Armeniorum Patriarchae, 1862], 1882 წელს კრებული ხელახლა გამოდის, ამჯერად 34 თარგმანით. აღსანიშნავია, რომ პირველივე, 1823 წლის გამოცემაში, შესულია შნორალის ტექსტის ქართული თარგმანიც [Nersetis Clajensis Armeniorum Patriarchae, 1823:397-422], რომელიც სხვა გვიანდელ გამოცემებშიც მეორდება. სამწუხაროდ, ტექსტის მთარგმნელის ვინაობა უცნობია, თუმცა თარგმანის თავისებურებანი გვაპარაუდებინებს, რომ იგი ქართულენოვანი ან ქართულის მცოდნე სომეხი უნდა ყოფილიყო.

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, სომხეთის მატენადარანის საცავებსა და კერძო კოლექციებში დაცული ქართული ხელნაწერების კვლევამ გვიჩვენა, რომ არსებობს ნერსეს შნორალის „სარწმუნოებით

¹ „ნერსეს კლაველი კათალიკოსი სომეხთა ...იყო კაცი ფრიად სათნო და ბრძენი და მოყვარე მართლმადიდებლობისა, რომელი შეიწყნარებდა სიტყვასა მოძღვრებისასა ეკლესიისა თვისა“.

ვალთარებ“-ის გამოცემული ტექსტისაგან განსხვავებული თარგმანები, რომლებიც XVIII-XIX საუკუნეებში შეუსრულებიათ. ტექსტების შესწავლამ „სარწმუნოებით აღვარების“ სამი თარგმანი გამოავლინა, რომელთაგან ორი სომხური ენიდან არის შესრულებული, ერთი კი – რუსულიდან.

XVIII საუკუნეში ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის ახალი ეტაპი იწყება, სწორედ ამ დროს ასპარეზზე გამოდის ანტონი I კათალიკოსის სკოლა, რომელიც საკუთარ მრავალფეროვან მოღვაწეობაში მნიშვნელოვან ადგილს უთმობს სომხურიდან ქართულ ენაზე თხზულებათა თარგმნას. ანტონ კათალიკოსის გვერდით დგას იმ პერიოდის ისეთი გამოჩენილი სომეხი მოღვაწე, როგორიც იყო ფილიპე ყაითმაზაშვილი. ანტონის სკოლის პარალელურად მთარგმნელობითი მოღვაწეობით დაკავებულები იყვნენ ენობრივად გაქართველებული სომხებიც. სწორედ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ვანის ტბის მიდამოებში მოღვაწეობდა ეროვნებით სომეხი, წარმოშობით კი გევორგ გორელი, რომლის სომხური ენიდან ქართულად ნათარგმნი ტექსტები არაერთმა ქართულმა ხელნაწერმა შემოგვინახა, მათ შორის მისი ავტოგრაფი – H-2809 ხელნაწერი [მელიქსეთ-ბეგი, 1935:90-93].

გევორგ გორელის თარგმანების შემცველი კიდეც ერთი ხელნაწერი (Mat. 81) გამოვლინდა ერევნის ძველი ხელნაწერების ინსტიტუტში, მატენადარანის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში. ხელნაწერი ბოლო დრომდე აღწერილი არ ყოფილა, გადაწერილია XVIII საუკუნის 80-იან წლებში სარწმუნოებრივად სომეხი სურამელი გადამწერის, ზაქარია კაკონაშვილის მიერ და ფაქტიურად, გევორგ გორელის თარგმანებისა და ორიგინალების შემცველი ხელნაწერის H-2809 თითქმის სრულ ასლს წარმოადგენს [იხ. ჩანტლაძე, 2023:103-104]. ჩვენი ყურადღება მიიპყრო ხელნაწერის 190v-199v გვერდებზე შემონახულმა თხზულებამ, რომელიც ნერსეს შნორალის ლოცვის „სარწმუნოებით ვალთარებ“ ქართულ თარგმანს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერში არსად არ ჩანს მთარგმნელის სახელი და უფრო მეტიც, ზაქარია კაკონაშვილი ცდილობს გევორგ გორელის თარგმანები საკუთარ თარგმანებად გამოაცხადოს [იხ. ჩანტლაძე, 2023:100-101], თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ხელნაწერი გევორგ გორელის ავტოგრაფის ასლს წარმოადგენს, დასაშვებად მიგვაჩნია იმ ვარაუდის გამოთქმა, რომ ნერსეს შნორალის თხზულების თარგმანიც გევორგ გორელს ეკუთვნის.

გორელის თარგმანს ერთი თავისებურება ახასიათებს, გარდა იმისა, რომ ის თარგმნის დროს სიტყვა-სიტყვით მიჰყვება სომხურ ტექსტს, მისი ლექსიკა არის ქართულენოვან გარემოში გაზრდილი ადამიანისა, რომლისთვისაც ქართული სამეტყველო ენაა და არა ლიტერატურულად ნასწავლი ენა, ამიტომაც თარგმანის დროს იგი იყენებს სამეტყველო ლექსიკას ან პირდაპირ თარგმნის სიტყვებს. მაგალითად, ნერსეს შნორალის ფრაზა: «*მნოყაჲ ქეღ ღაჲსაჲ ღაჲსაჲ*» თარგმნილია, როგორც «გცოდე შენ ნებითა და არნებითა», მთარგმნელმა ქართულისათვის ბუნებრივი „უნებლიედის“ ნაცვლად „არნებით“ გამოიყენა – რაც *ღაჲსაჲ*-ს პირდაპირ თარგმანს წარმოადგენს ან უარყოფითი ნაწილაკი და ღაჲს – ნება. ასევე, «*აჲლ ილიქსა՛ գշարժումս սոցա լինել միշտ ըստ պատուիրանաց քոց յամենայնի*», მთარგმნელმა თარგმნა როგორც „ჰყავ საძრაობა ამათი მართალ, რათა იყვნენ მართლის ცნებასა

შენსა“. ამ ფრაზაში *ζαρητοις*ს გადმოიტანა მისი მთავარი მნიშვნელობით *ძვრა* – *სლვის* ნაცვლად. ფრაზა «*ἔνστα ἢ ἔῃ ἡρατα ἡἀναστασὶς ἡρατῆς*» – გორელის თარგმანში ჟღერს, როგორც „მომილე მე როგორათაც უდღეური შვილი“, სადაც ნაცვლად ცნობილი ბიბლიური „უძღები შვილისა“, მთარგმნელს „უდღეური შვილი“ აქვს გამოყენებული.

ნერსეს შნორალის თხზულების კიდევ ერთ ქართულ თარგმანს შეიცავს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის Q ფონდში დაცული Q-535 ხელნაწერიც. ხელნაწერი 1775 წელს არის გადაწერილი სტამბოლში უდელი ბალაშვილი ბატონჯანას მიერ და სომხურიდან თარგმნილი ლოცვების კრებულს წარმოადგენს, რომელთა დიდი ნაწილი კათოლიკური წესის არის. ხელნაწერთა ინსტიტუტში (ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) მოხვედრამდე კრებული ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიის საკუთრება ყოფილა [აბულაძე (რედ.), 1958:24-25]. კათოლიკური ლოცვების გვერდით კრებულში ნერსეს შნორალის რამდენიმე ლოცვაც არის შეტანილი: „ლექსი წმინდისა ნერსესი მაღლითა სავსენი, ლოცვა უფლისა ნერსესისაგან სომეხთა კათალიკოზისა და სხვ.“ ჩვენთვის საინტერესო თხზულება ხელნაწერში შემდეგი სათაურით გვხვდება: „ლოცვა თავთავიანთ სულთათვის ქრისტეს მორწმუნეთა, რომელი დარიგებულ არს უფლისა ნერსესისგან სომეხთა კათალიკოზისა, ავატოვ ხოსტოვანიმ“. ახლად გამოვლენილი ტექსტის გორელის თარგმანთან მსგავსების მიუხედავად, ნათელია, რომ ჩვენ წინაშე „სარწმუნოებით ვალიარებ“-ის სხვა თარგმანია წარმოდგენილი. ეჭვს არ იწვევს ის ფაქტიც, რომ აღნიშნული თარგმანიც სომხური ენიდან და სომხის მიერ არის შესრულებული, თუმცა ამჯერად ტექსტი ქართულის თვალსაზრისით გაცილებით გამართულია.

Mat. 81	Q-535
სარწმუნოებით გაღვიარებ და თაყვანსა გცემ შენ, განუყრელო ნათელო, ერთობ წმინდავ სამებავ და ერთმღთეობავ და შემოქმედო ნათლისაო და მდევნელო ბნელისაო, ზდევდე სულსა ჩემსა ბნელის ცოდვისაგან და არცოდნისაგან , განანათლე ფიქრი ჩემი დროსა ლოცვით სათნოთა მიღება შენგან სათხოვარი. შეიწყალე გაჩენილი შენი და მე ფრიად ცოდვილი .	სარწმუნოებით აღვიარებ და თაყვანსა გცემ შენ განუღრელსა (!) ნათელსა, ერთარსებასა , წმიდასა სამებასა და ერთღმრთეობასა შემოქმედსა ნათლისასა, განმშორებელსა ბნელეთისასა და განმიშორე სულისა ჩემისაგან ბნელი ცოდვა და უმეტერეობა და განმინათლე გული ჩემი ჟამსა ამასა ლოცვად შენდა და სათნოდ და შეწყნარებად შენგან დილაგი (!) ჩემი.
მხილველო ყოვლისაო, გცოდე შენ ფიქრითა, სიტყვითა, საქმითა ჩემითა. წარხოცე ხელწერილი ნაქმრობისა მისა და დამიწერე სახელი ჩემი მნივნობარი ცხოვრებად .	მხედველო ყოვლისაო, გცოდე შენ ფიქრითა, სიტყვითა და საქმითა. აღკოცე ხელისწერილი შეცოდებისა ჩემისანი და აღწერე სახელი ჩემი მნივნობართა თანა ცხოვრებისათა .

საინტერესოა, რომ კათოლიკურ ლოცვანში ნერსეს შნორალის თხზულებების მეორე სტროფის დედანში გამოყენებული სომხური სიტყვის *«խնդրութ»* – „თხოვნა, ვედრება“ – ნაცვლად ქართულ თარგმანში გვხვდება სიტყვა „დილაგ“, რაც ასევე სათხოვარს, თხოვნას ნიშნავს შირაკის, კარინისა და სასუნის სომხურ დიალექტებზე, ამ სიტყვის ქართულში დატოვება კი გვიჩვენებს, რომ ტექსტის მთარგმნელი ზემოჩამოთვლილი რაიონებიდან რომელიმეს წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო და ეს სიტყვა დამკვიდრებული იყო მის ენობრივ გარემოში.

ნერსეს შნორალის „ლოცვის“ მესამე, ამჯერად რუსულიდან შესრულებული თარგმანი ინახება მატენადარანის ქართულ ხელნაწერთა შორის დაცულ № 108 ხელნაწერში. ხელნაწერი 1832-1836 წლებში იოსებ ნიტიკოვის მიერ გადაწერილი კრებულია, მასში შესულია ნაწყვეტი „შაჰნამედან“, ნიკოლოზ რაზიკაშვილისა და დომინიკა ერისთავის ლექსები, სომხურიდან თარგმნილი რამდენიმე თხზულება. კრებულის 83-ე ფურცელზე შემდეგი სახის სათაური გვხვდება: „ლოცვა ჰაიოსიანთა პატრიარხისა ნერსესისა, თარგმნილი რუსულიდან ქართულ ენაზედა საქართველოს მეფის ძის ფარნავაზის მიერ სანკტ პეტერბურგსა შინა 1814, მარტის 20“. როგორც ვხედავთ, ნერსეს შნორალის ლოცვის თარგმანის ავტორი არის საქართველოს მეფის, ერეკლე II-ის ვაჟი – ფარნავაზი. ცნობილია, რომ ფარნავაზ ბატონიშვილი (1777-1852 წწ.) ერეკლე მეფის სხვა შვილების მსგავსად გამოირჩეოდა განათლებითა და სიტყვიერების მიმართ სიყვარულით. რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ ფარნავაზი რუსეთში გადაასახლეს, სწორედ აქ ეწეოდა ის მთარგმნელობით მოღვაწეობას, თარგმნიდა, ძირითადად, რუსული ენიდან. მის კალამს ეკუთვნის ჟან-ჟაკ რუსოს ერთ-ერთი ტრაქტატის თარგმანი რუსული ენიდან და კარამზინის „რაისას“ თარგმანი. რუსულიდან უთარგმნია ბატონიშვილს ნერსეს შნორალის თხზულებაც. შნორალის „სარწმუნოებით ვალიარებ“-ის რუსულ ენაზე თარგმანი პირველად 1786 წელს დაიბეჭდა პეტერბურგში [Шнорали, 1786]. სავარაუდოდ, სწორედ ამ გამოცემით უნდა ესარგებლა ფარნავაზ ბატონიშვილს საკუთარი თარგმანის შესრულებისას და მატენადარანის ქართული ხელნაწერი ამ თარგმანის ერთდერთ ნუსხას წარმოადგენს. სომეხი მთარგმნელებისაგან განსხვავებით, ფარნავაზ ბატონიშვილი სრულყოფილად ფლობს ქართულ ენას და განსაკუთრებით კი ქართული ბიბლიის ენას, ამიტომ მისი თარგმანი დახვეწილია როგორც გრამატიკულად, ისე ლექსიკურად. მაგალითად, შევადაროთ ერთმანეთს ლოცვის მეხუთე სტროფის თარგმანი სომეხი და ქართველი მთარგმნელებისა:

	Mat. 81	Q-535	Mat. 108
Հոգի Աստուծոյ, Աստուած Հճարիտ, որ իճեր ի Յորդանան և ի վերսաստունսն եւ լուսաւորեցեր զիս մկրտութեամբ սուրբ աւագանին, մեղայ	სულო წმი- დაო და ღმერ- თო ჭეშმარი- ტო, რომ გადმოხედ იორდანესა და სახლსა	სულო ღმრთი- საო და ღმერთო ჭეშმარიტო, რომელი ჩამობ- დანი იორდა- ნესა ჩარდახსა შინა და განმა-	სულო ღვთისო, ღმერთო ჭეშმარიტო, რომელი გარდამოხედ იორდანესა და ქორსა მას ზედა

ქრქისა ზე ათაჲს ჟი, მარქსა' ღჲს ქრსთის ასათიადაჲს ჰიოქ ჟი, ირქსა ჰრქსა ქცოიოჲს ათიქ დათაქსაჲს. ზე იოიქსა' ჟი არაქსაზი ზე ქსა' ქაქსაქსაჲს:	მოციქულე-ბისასა ზედან და განმანათ-ლე მე ნათ-ლისლებითა წმინდა ემბა-ზისა, ვცოდე ზეცასა და წინაშე შენ-სა, გამწმინდე მე მეორეთ ღვთაებაჲ ცეცხლითა შენითა, ვი-თარცა ცეცხ-ლისა ენით მოციქულები.	ნათლე მე ნათ-ლისლებითა წმი-დის ემბაზისათა და გზოდე (!) ზეცად და შენს წინაშე, განმბა-ნე მე მცირედ ღმრთეების ცეცხლითა შე-ნითა, ვითარცა ცეცხლისა ენით წმიდანი მოცი-ქულნი. და შე-ინყალე შენი გა-ჩენილი და მე მრავალი ცოდ-ვის მოქმედი.	განმანათლე მე ბანგითა წმიდისა ნათლისა ღებისათა. ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა და განმწმინდე მე კეთილად საღმთოთა აღით ცეცხლითა შენითა, ვითარცა მოციქულნი შენნი ცეცხლისა ენათა. შეინყალენ ქმნულნი შენნი და მეცა მრავალ-მცოდუწლი.
--	---	---	---

როგორც ვხედავთ, ქრისაჲთის – გორელმა თარგმანმა, როგორც „სახლი მოციქულებისა“, კათოლიკურ ლოცვანში დაცული ტექსტის მთარგმნელმა „ჩარდახი“ გამოიყენა, ფარნავაზ ბატონიშვილმა კი „ქორი“, რომელიც ხშირად გვხვდება სამოციქულოს ძველ ქართულ თარგმანებში. ასევე „გცოდე ზეცად და შენს წინაშე“ ფარნავაზ ბატონიშვილის თარგმანში სახარებისეული ფრა-ზით „ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა“ (ლუკა 15:18) არის გადმოტანილი.

საინტერესოა, რომ კერძო კოლექციაში დაცულ ორ კათოლიკურ ლოც-ვანში ასევე გვხვდება ნერსეს შნორალის ლოცვის ტექსტი. ამ ხელნაწერებში დაცული ტექსტების შედარებამ ჩვენ მიერ განხილულ თარგმანებთან გვიჩ-ვენა, რომ ეს ტექსტები ჩვენ ხელთ არსებული თარგმანების ლიტერატურულ გადამუშავებას უნდა წარმოადგენდეს.

კერძო კოლექციაში დაცული პირველი ხელნაწერი, რომელიც ნერსეს შნორალის ლოცვას შეიცავს, 1819 წელს გადაინერა ხიზაბავრელი პეტრეს მი-ერ: „ნიგნი ესე არს წყრუთელი შენდობილი ოსეფას ასული შუშანასი <არის>, უფალმან კეთილათ მოახმაროს. და მე ხიზაბავრელ პეტრეს დამინერია ნიგ-ნისა ამის გვერდები, რომ ერთი მამაო ჩვენო, ერთი გიხაროდენი ჩემს სახელ-ზედ შესწირო ყოვლად წმინდასა, რომ მეოხედ იყოს ჩემზედ და შენზედ ამინ... დაინერა საკითხავი ესე ქორონიკო წელსა უფლისასა 1819, თებერ-ვლის ოცდა ორს გასულს. ღამის სათს (!) სამ ნახევარზე გათავდა“.¹ ხელნა-წერში ტექსტი შემდეგნაირად არის დასათაურებული: „ლოცვა ყოვლად შემ-ძლე მორწმუნე ქრისტიანთათვის, რომელი გამოსთქუა წმინდა ნერსე გა-

¹ დიდ მადლობას მოვასხენებთ ჩვენს კოლეგას, თინათინ ევდოშვილის ხელნაწერთა აღწერი-ლობის მოწოდებისათვის.

ნათლებულმან". ერთი შეხედვით 1819 წელს გადანერილ ხელნაწერში არსებული შნორალის „ლოცვის“ ტექსტი დიდ მსგავსებას ავლენს Q-535 ხელნაწერში დაცულ ტექსტთან, ამის დასტურად მხოლოდ ისიც კმარა, რომ მეორე სტროფის დასასრულს სომხური სიტყვა *«խնդրուած»* („თხოვნა“, „ვედრება“) 1775 წელს გადანერილ ხელნაწერში დაცული ლოცვის მსგავსად „დილაგად“ აქვს გადმოტანილი. თუ ამ ორ ტექსტს სტრუქტურულად შევხედვათ, Q-535 ხელნაწერში დაცული ტექსტისაგან განსხვავებით, 1819 წლის ხელნაწერში მოსალოდნელი 24 სტროფის ნაცვლად გვაქვს 25 სტროფი, იმის ხარჯზე, რომ ლოცვის მეორე სტროფის მეორე ნაწილი ტექსტში ორჯერ არის წარმოდგენილი, მეორედ დამოუკიდებელ, 23-ე სტროფად. ამასთანავე, ლოცვის ყოველი სტროფი იწყება უფლისადმი მიმართვით „შემინყალე მე...“, რაც არ დასტურდება სომხურ დედანში და ტექსტის რედაქტორს უნდა ეკუთვნოდეს. ამ ჩანართით, როგორც ჩანს, რედაქტორი ცდილობს რეფრენის მსგავს გამეორებულ დასასრულს – „შეინყალე შენი გაჩენილი და მე მრავალის ცოდვის მოქმედი“ (*«Էւ յղորմես քի արարածոց եւ ինձ՝ բազմամեղիս»*), დასაწყისიც ერთნაირი შეუსაბამოს. ლოცვების გამონვლილვით შედარება გვიჩვენებს, რომ 1819 წლის ხელნაწერში დაცული ტექსტი 1775 წლის ხელნაწერში დაცული ტექსტის ლიტერატურული გადამუშავებაა. „ლოცვის“ რედაქტორი სრულყოფილად ფლობს ქართულს, ისევე, როგორც კარგად იცის ბიბლიის ენა, ამიტომ მის მიერ გადამუშავებული ტექსტი, ქართულის თვალსაზრისით, უფრო გამართული და დახვეწილია, მაგ.:

ჯაასათიქ ჯათათიქსნიქ	Q-535	1819 წლის ხელნაწერი
ჯაჲრ ჟერსაჲთ, საათიას ჯჲსარჲთ, ირ ათაჲსეჲრ გირიჲი քი სիրქსի ի խնդիր մոլորես և ի խարին, մեղայ յերկինս և առաջի ք. ընկա՛լ զիս որպէս զանառակ որդին և զգեցո՛ւ ինձ զպատմութանս զառաջին, զոր մեղկացայ մեղօք. և յղորմես քի արարածոց և ինձ՝ բազմամեղիս:	მამაო ზეციერო, ღმერთო ჭეშმარიტო, რომელი მოავლინე ძე შენი საყვარელი <i>ძებნად შეცთომილთა ცხვრისათვის, ვცოდე ცათა შინა და შენს წინაშე</i>, შემინყნარე მე ვითარცა უძლები ძე, <i>შემმოსე მე სამოსლითა პირველ, რომელი განვტიტლდვი ცოდვითა.</i>	მამაო ზეციერო, ღმერთო ჭეშმარიტო, რომე მოავლინე ძე შენი საყვარელი საძებრად <i>შეცთომილთა ცხოვრათათვის, ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა</i>, შემინყნარე ვითარცა უძლები იგი შვილი და <i>შემმოსე მე სამოსი იგი ჩემი პირველი</i>, რომელი ვქმენი მე.

სამსაათიერს სტრ, ოღიქნა ამნაჲს ხადათაგელჲს ქ ქელ ჩინგ ხი ოთარაგ, ოანოქიგ ხი ანბანოქიგ, ყენსანსაგ ხი მნელჲს. წიოქნა ხი ჟსანსაგ ქინგ ხი ათელსაგ ელოიქის, ორ ათ ქა ქანსაგ. ხი ჟარბი ცნოა ქ ჯარსაგ, ჟორ ოსქის ქასს ქმ, ჟი ოღიქნოქნა ქოქ არბანს ქელქის. ხი ოღიქნა ქო არარაბიგ ხი ქსა` ქაქანსელქა:	ყოვლად მონყალეჲ უფალო და შეინყალე ყოველნი მორწმუნენი შენნი, ჩემთა უცხოთა, ნაცნობთა და უცნობთა, ცოცხალთა და მკუდართა, აჩუქე მტერთა ჩემთა და მოძულეთა, შეუნდეჲ რომელთ შემცოდეს და მოაქციე ისინი ბოროტისაგან, რომელთა აქვს ჩემთვის, რამეთუ წყალობითა შენითა ღირს იყვნენ და შეინყალე შენი გაჩენილი და მე მრავალი ცოდვის მოქმედი	შეინყალე მე, ყოვლად მონყალეჲ უფალო და შეინყალენ ყოველნი მორწმუნენი შენნი, ძმანი ჩემნი ურიცხონი, მეცნიერნი და უმეცარნი, ცოცხალ-მკუდარნი, მიჰმადლე მტერთა ჩემთა მშვიდობა, რომელთა ჩუენდა მიმართ ცოდეს, მოაქციე ბოროტის ამისგან, რომელი აქვსთ ჩემთვის, წყალობითა შენითა ღირს იყვნენ და შეინყალე შენი გაჩენილი და მე მრავალი ცოდვის მოქმედი
--	--	---

ლიტერატურულ გადამუშავებას უნდა წარმოადგენდეს კერძო კოლექციის მეორე ხელნაწერში დაცული „ლოცვის“ ტექსტიც. პალეოგრაფიულად ხელნაწერი XIX საუკუნეში უნდა იყოს გადანერილი. კრებულის 65-ე გვერდზე შემონახულია შემდეგი სახის მინაწერი: „კვალად დაგავედრებ შენ უ(-ფალო)ო წ(მიდას)ა ეკლესიასა მამამთავარსა ჩვენსა უფალსა გრიგოლს და ძმათა მისთა კარდინალთა, ეპიკოპოზთა და მღვდელთა, მოძღვართა და ყოველთა რიგოსანთა“. XIX საუკუნეში მხოლოდ ერთი გრიგოლ პაპი ჰყავდა რომის ეკლესიას - გრიგოლ XVI, რომლის ზეობის წლებიცაა 1831-1846 წწ. ამდენად, ჩვენთვის საინტერესო კრებულიც სწორედ ამ წლებს შორის უნდა იყოს გადანერილი. სამწუხაროდ, ხელნაწერის გადამწერის სახელი მხოლოდ ინიციალებით არის შემონახული, ხელნაწერის ბოლოს, საძიებლის შემდეგ ვკითხულობთ: „ერთი გიხაროდენით მოიხსენიეთ ამის დამწერი ტერ ე. ხ.“ ამ მეორე ხელნაწერის ტექსტის შედარებამ ჩვენ მიერ განხილულ თარგმანებთან აჩვენა, რომ ეს უკანასკნელი ყველაზე მეტ სიახლოვეს ფარნავაზ ბატონიშვილის თარგმანთან იჩენს, თუმცა, როგორც ჩანს, რედაქტორი ხშირად „ლოცვის“ სომხურ ტექსტშიც იხედება. მაგალითად:

Mat 108	კერძო კოლექცია
ძეო ღმრთისავ, ღმერთო ჭეშმარიტო, რომელი გარდამოხედ წიაღთაგან მამისათა და შეისხენ ხორცნი წმიდისა ქალწულისა მარიამისაგან, და ხსნისა ჩუენისათვის ჯვარს ეცვი, დაეფალ და აღსდევ მკვდრეთით და აღვედ მამისადმი, ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა. მომიხსენე მე, ვითარცა ავაზაკი, ოდეს მოხვიდე სუფევეთა შენითა. შეიწყალენ ქმნულნი შენნი და მეცა მრავალმცოდუწლი.	ძეო ღმრთისაო, ღმერთო ჭეშმარიტო, რომ დამდაბლდი წიაღისაგან მამისა და მიილე ხორცი წმიდა ქალწული მარიამისაგან, ჩვენის ცხოვრებისათვის, ჯვარს ეცვი და დაეფალ და აღდეგ მკვდრეთით და აღმალდი მამისა მიმართ, ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა. მომიხსენე მე, ვითარცა ავაზაკი იგი, რაჟამს მოხვიდე სუფევეთა შენითა. შეიწყალე შენი გაჩენილნი და მე მრავალშემცოდე
სულო ღვთისო, ღმერთო ჭეშმარიტო, რომელი გარდამოხედ იორდანესა და ქორსა მას ზედა განმანათლე მე ბანვითა წმიდისა ნათლისა ღებისათა. ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა და განმწმიდე მე კეთილად სამღთოთა ალით ცეცხლითა შენითა, ვითარცა მოციქულნი შენნი ცეცხლისა ენათა. შეიწყალენ ქმნულნი შენნი და მეცა მრავალმცოდუწლი.	სულო ღვთისო, ღმერთო ჭეშმარიტო, რომელი გარდამოხედ იორდანეს და ზესაყოფელსა და განმანათლე მე ნათლისღებითა წმიდისა ემბაზისა . ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა, განმწმიდე ღთაებრივი ცეცხლითა, ვითარცა ცეცხლისა ენითა მოციქულნი შენნი. შეიწყალე შენი გაჩენილნი და მე მრავალშემცოდე

თუ პირველი მაგალითი თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს ფარნავაზ ბატონიშვილის თარგმანს, მეორე მაგალითში განსხვავებები გვაქვს – სომხური «ქ ქსრნასთი»-ის შესაბამისი „ქორსა ზედა“ შეცვლილია „ზესაყოფელით“, რაც პირდაპირი თარგმანია «ქსრნასთი»-ისა, ამასთანავე, მეორე ფრაზაში დამატებულია სომხური «ასაყან»-ის შესატყვისი „ემბაზი“, რომელიც ფარნავაზის თარგმანს აკლია. შევადაროთ ერთმანეთს ლოცვის მერვე სტროფის ფარნავაზისეული თარგმანი და კერძო კოლექციის N2 ხელნაწერის ტექსტი:

Հաստիվ խոստովանիմ	Mat 108	კერძო კოლექცია
Քննող գաղտնեաց, մեղայ քեզ կամայ եւ ակամայ, գիտութեամբ եւ անգիտութեամբ. թողութիւն չնորիւն՝ մեղաւորիս, զի ի ծննդենէ սուրբ ասագանիս մինչեւ ցայսօր մեղուցեալ եմ ատաշի Աստուածութեանդ քո՝	საიდუმლოსა განმკითხუწლო, ვცოდეთ წინაშე შენსა ნებსით და უნებლიეთ, ცნობით და უმეცრებით. მომეც მე მოტევება ცოდვილსა, რათა აღმო-	გამომძიებელო დაფარულთაო, გცოდე შენებითა და უნებურათ, მეცნიერებითა და უმეცრებით, შემინდვე მე ცოდვანი, რამეთუ შობითგან ვიდრე აქამომდე მიცოდებია წი-

დყაყარასიოჲ ჰმოქჲ ღჲ აჲსწაჲს ანთაჲსოჲ მარჲსთჲს. ღჲ იოიოჲსა' ჲი არარაბოჲ ღჲ ჰნაღ' რადჲსაჲსთჲს:	შობითგან ემბაზისა კეთილად მყოფი ვე-ვედრები დღეინდელად დღემდე მცოდუწლი წინაშე ღვთაებისა შენისა, ყოვლითა საგრძნობელითა და ყოვლითა ნანევრითა სხეულისა ჩვენისათა. შეიწყალენ ქმნულნი შენნი და მეცა მრავალმცოდწ.	ნაშე ღმრთაებისა შენისა საგრძნობლებითა ჩემითა და ყოველი ნასხამებითა ხორცისა ჩემისათა და შეიწყალე შენი გაჩენილნი და მე მრავალშემცოდე.
--	--	---

თუ ფარნავაზ ბატონიშვილს თარგმანში «*წმითჲ დაჲსწაჲს*»-ის შესაბამისად „საიდუმლოსა განმკითხუწლო“¹ გვაქვს, რაც რუსული Тайноведе-ის თარგმანი უნდა იყოს, გადამუშავებულ ტექსტში სომხური სრული შესატყვისი „გამომძიებელი დაფარულთაო“ გვხვდება. ამავე სტროფში «*აჲსწაჲს ანთაჲსოჲ მარჲსთჲს*»-ის შესატყვისად ფარნავაზი რუსულის მსგავსად – «*всеми членами своего тела*», „ყოვლითა **ნანევრითა** სხეულისა ჩვენისათა“ თარგმნის, გადამუშავებულ ტექსტში კი სომხურის კვალდაკვალ „ყოველი **ნასხამებითა** ხორცისა ჩემისათა“ არის თარგმნილი. „ნანევრის“ ჩანაცვლება „ნასხამით“ ნათლად აჩვენებს, რომ ის, ვინც ტექსტი გადაამუშავა, შესანიშნავად ფლობდა ქართულ ენას და სასულიერო ლექსიკას.

ამრიგად, ნერსეს შნორალის „ლოცვის“ ქართული თარგმანებისა და მათი ლიტერატურული გადამუშავების მრავალფეროვნება გვიჩვენებს, რამდენად პოპულარული იყო ის ამიერკავკასიის ქართულენოვან სამყაროში სამივე კონფესიის – მართლმადიდებელი ქართველების, სომეხთა სამოციქულო ეკლესიის ქართულენოვანი მრევლისა და კათოლიკეების, წრეში. ქვემოთ წარმოვადგენთ ნერსეს შნორალის „სარწმუნოებით აღვიარებ“ ლოცვის სამ განსხვავებულ თარგმანს მატენადარანის ქართული ხელნაწერებისა (Mat. 81, Mat. 108) და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში დაცული კათოლიკური ლოცვანის შემცველი ხელნაწერის Q-535 მიხედვით.

	Mat. 81 (190v-192v, 212r-v)	Q-535 (215v-224v)	Mat. 108 (83r-87v)
	-	ლოცვა თავთავიანთ სულთათვის ქრისტეს მორწმუნეთა, რომელი დარიგებულ არს უფლისა	ლოცვა ჰაიოსიანთა პატრიარხისა ნერსესისა, თარგმნილი რუსულიდამ ქარ-

¹ ფარნავაზ ბატონიშვილის თარგმანის სომეხი გადამწერი ხშირად უშვებს შეცდომებს გადწერისას, მაგალითად: ხელნაწერში გვაქვს „საიდუმლოსაგან მკითხუწლო“, ნაცვლად „საიდუმ,ოსა განმკითხუწლო“.

		ნერსესისგან სომეხთა კათალიკოზისა ავატოვ ხოსტოვანიმ	თულ ენაზედა საქართველოს მეფის ძის ფარნავაზის მიერ სანკტ პეტერბურლსა შინა 1814, მარტის 20
1	სარწმუნოებით გაღვიარებ და თაყვანსა გცემ შენ, მამაო, ძეო და სულო წმიდაო, არმქნილო და უკუდავო ბუნებით, შემოქმედო ანგელოზთა და კაცთა და ყოველთა მქნულთა. შეიწყალენ გაჩენილნი შენნი და მე ფრიად ცოდვილი	სარწმუნოებით აღგვიარებ და თაყვანსა გცემ შენ, მამო, ძეო და სულო წმიდაო, უქნელსა და უკუდავსა ბუნებასა, წინაშე ანგელოზთა და კაცთა და ყოველთა ქმნულთა. შეიწყალე გაჩენილი და მე მრავალი ცოდვის მოქმედი	სარწმუნოებით აღგვიარებ, თაყვან გცემ, შენ მამაო, ძეო და სულო წმიდაო, უქმნელო და უკუდაო და ბუნებაო, შემოქმედო ანგელოზთა და კაცთა და ყოველთა არსთაო. შეიწყალენ ქმნულნი შენნი.
2	სარწმუნოებით გაღვიარებ და თაყვანსა გცემ შენ, განუყრელო ნათელო, ერთობ წმინდავ სამებავ და ერთმლეთობავ და შემოქმედო ნათლისაო, მდევნელო ბნელისაო, ზღევდე სულსა ჩემსა ბნელის ცოდვისაგან და არცოდნისაგან, განათლე ფიქრი ჩემი დროსა ლოცვით სათნოთა მიღება შენგან სათხოვარი ჩემი. შეიწყალე გაჩენილი შენი და მე ფრიად ცოდვილი.	სარწმუნოებით აღგვიარებ და თაყვანსა გცემ შენ განუღრელსა (!) ნათელსა, ერთარსებასა, წმიდასა სამებასა და ერთღმრთეობასა შემოქმედსა ნათლისა, განმშორებელსა ბნელეთისასა და განმშორე სულისა ჩემისაგან ბნელი ცოდვა და უმეცრეობა და განმინათლე გული ჩემი ჟამსა ამასა ლოცვად შენდა და სათნოდ და შეწყნარებად შენგან დილაგი (!) ჩემი. და შეიწყალე შენი გაჩენილი და მე მრავალი ცოდვის მოქმედი.	სარწმუნოებით აღგვიარებ და თაყვანის გცემ შენ, განუყოფელო ნათელო წმიდაო, სამებაო ერთარსებაო და ერთღვთაებაო, შემოქმედო ნათლისა და განმდევნელო ბნელისაო. განსდევნე სულისაგან ჩემისა ბნელი ცოდვათა და უმეცრებათა და განანათლე გონება ჩვენი თვით ამა ჟამსა, რათა ვილოცო სათნოდ შენდა, ყურად იღე ვედრება ჩემი. და შემინყალე მეცა მრავალცოდუშლი
3	მამავ ზეციერო, ღმერთო ჭეშმარიტო, რომელი მოავლინე ძე შენი საყვარელი საძებრათ დაკარგულის ცხვრისათვის, ვცოდე ზე-	მამაო ზეციერო, ღმერთო ჭეშმარიტო, რომელი მოავლინე ძე შენი საყვარელი ძეზნად შეცთომილთა ცხვრისათვის, ვცოდეთა შინა და შენს წინაშე, შემინყნარე მე ვითარცა	მამაო ზეცათაო, ღმერთო ჭეშმარიტო, მომავლინებელო ძისა შენისა საყვარელისა მომძიებელად ცხვრებისა წარწყმედილისა (!). ვცო-

	ცას და წინაშე შენსა. მიმიღე მე როგორათაც უდღეური შვილი და შემოსე მე კვართით პირველითა. რომლისაგან გავშიშვლდი ცოდვითა. შეიწყალე გაჩენილი შენი და მე ფრიად ცოდვილი.	უძლები ძე, შემოსე მე სამოსლითა პირველ, რომელი განვტიტლდვი ცოდვითა. შეიწყალე შენი გაჩენილი და მე მრავალი ცოდვის მოქმედი.	დე ცად მიმართ და წინაშე შენსა, შემინყალე მე, ვარ ვითარცა უძლები შვილი და შემოსე პირველითა მით სამოსლითა, რომელი გამცარცვა მე ცოდვამან. შეიწყალენ ქმნულნი შენნი და მე მრავალმცოდუშლი.
4	ძეო მღთისაო, ღმერთო ჭეშმარიტო, რომ დამდაბლდი მამისი უბისაგან და მიიღე ხორცი წმიდის ქალწულის მარიამისაგან ჩვენის ხსნისათვინ, ჯვარს ეცვი და დაესაფლავე და აღდექ მკვდრეთით და ამაღლდი დიდებით მამასთან. ვცოდე ზეცასა და წინაშე შენსა. მომიხსენე მე, ვითარცა ავაზაკი, რაჟამს მოხვიდე სუფევასა შენსა. შეიწყალე...	ძეო ღმრთისაო და ღმერთო ჭეშმარიტო, რომელი მომდაბლდი მამის უბისაგან და მიიღე ჳორცი წმინდა ქალწულ მარიამისაგან ჩვენთვის ცხოვრებად, ჯვართ ეცვი, დაეფალ და აღდეგ მკუდრეთით და ამაღლდი დიდებით მამისა თანა. ვზოდე ზეცას და შენს წინაშე, მომიხსენე მე ვითარცა ავაზაკი, ოდეს მობძანდა სუფევეითა შენითა. და შეიწყალე შენი გაჩენილი და მე მრავალი ცოდვის მოქმედი.	ძეო ღმრთისავ, ღმერთო ჭეშმარიტო, რომელი გარდამოხედ წიაღთაგან მამისათა და შეისხენ ხორცნი წმიდისა ქალწულისა მარიამისაგან, და ხსნისა ჩუენისათვის ჯვარს ეცვი, დაეფალ და აღსდეგ მკვდრეთით და აღვედ მამისადმი, ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა. მომიხსენე მე, ვითარცა ავაზაკი, ოდეს მოხვიდე სუფევეითა შენითა. შეიწყალენ ქმნულნი შენნი და მეცა მრავალმცოდუშლი.
5	სულო წმიდაო, ღმერთო ჭეშმარიტო, რომ გადმოხედ იორდანესა და სახლსა მოციქულებისა ზედან და განმანათლე მე ნათლისღებითა წმინდა ემბაზითა, ვცოდე ზეცასა და წინაშე შენსა, გამწმინდე მე მეორეთ, ღთეობავ, ვითარცა ცეცხლისა	სულო ღმრთისაო და ღმერთო ჭეშმარიტო, რომელი ჩამობძანდი იორდანესა ჩარდახსა შინა და განმანათლე მე ნათლისღებითა წმიდის ემბაზისათა და გზოდე (!) ზეცად და შენს წინაშე, განმბანე მე მცირედ ღმრთეების ცეცხლითა შენითა, ვითარცა ცეცხლისა ენით წმიდანი მოციქულნი. და შეიწყალე შენი გაჩენილი	სულო ღვთისო, ღმერთო ჭეშმარიტო, რომელი გარდამოხედ იორდანესა და ქორსა მას ზედა განმანათლე მე ბანვითა წმიდისა ნათლისა ღებისთა. ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა და განმწმინდე მე კეთილად სამღთოთა ალით ცეცხლითა შენითა, ვი-

	ენით მოციქულები.	და მე მრავალი ცოდვის მოქმედი.	თარცა მოციქულნი შენნი ცეცხლისა ენათა. შეინყაღენ ქმნულნი შენნი და მეცა მრავალმცოდუშლი.
6	უქნელო ბუნებაო, გცოდე შენ ფიქრითა ჩემითა და ხორციითა ჩემითა, ნუ მოიხსენიებ ცოდვასა ჩემსა, პირველათ წმიდასა სახელისა შენისათვის. შეინყაღე გაჩენილი...	უქნელსა ბუნებასა გცოდე შენ გონებითა ჩემითა, სულითა და ჯორციითა ჩემითა, ნუ მოიხსენებ ცოდვასა ჩემსა პირველსა სახელითა შენისა წმიდისათა. და შეინყაღე შენი გაჩენილი და მე მრავალის ცოდვის მოქმედი.	ქმნულო ბუნებაო, ვცოდე წინაშე შენსა გონებითა, სულითა და სხეულითა ჩვენი. ნუ მოიხსენებ უშჯულობათა ჩვენთა პირველთა სახელისა შენისათვის წმიდისა. შეინყაღენ ქმნულნი შენნი და მეცა. მრავალმცოდუშლი.
7	მხილველო ყოვლისაო, გცოდე შენ ფიქრითა, სიტყვითა, საქმითა ჩემითა. წარბოცე ხელწერილი ნაქმრობისა მისა და დამიწერე სახელი ჩემი მწიგნობარი ცხოვრებად.	მხედველო ყოვლისაო, გცოდე შენ ფიქრითა, სიტყვითა და საქმითა. აღწოცე ხელისწერილი შეცოდებისა ჩემისანი და აღწერე სახელი ჩემი მწიგნობართა თანა ცხოვრებისათა. და შეინყაღე შენი გაჩენილი და მე მრავალის ცოდვის მოქმედი.	ყოვლისა მხედუშლო, ვცოდე წინაშე შენსა მოგონებით, სიტყვით და საქმით და აღცოხე ხელითწერილი ცოდვათა ჩემთანი და შთანერენ სახელი ჩუენი წიგნსა შინა ცხოველთასა. შეინყაღენ ქმნულნი შენნი და მეცა მრავალმცოდუშლი.
8	გამომძიებელო დამალულთაო, გცოდე შენ ნებითა და არნებითა, ცოდნითა და არცოდნით, მოტევება მომადლე ცოდვილსა, რამეთუ ემბაზის შობისაგან ვიდრე დღეანდლამდინ შემცოდე ვარ წინაშე შენსა მღთეობისა შენისა სახსრითა ჩემითა და ყოვლის ასოტანითა. შეინყაღე.	გულთამხილველო დაფარულთაო, გზოდე (!) შენ ნებით და უნებურათ, ცოდნით და უცოდინრათ, შემინდე და მაჩუქე ცოდვილსა ამას, რამეთუ დაბადებითგან წმიდისა ემბაზისა დღეს აქამდინ მიცოდავს წინაშე ღთეობისა შენისა სასმენელითა ჩემითა და ყოველი ასოთი ჯორცისათა. და შეინყაღე შენი გაჩენილი და მე მრავალის ცოდვის მოქმედი.	საიდუმლოსა განმკითხუშლო, ვცოდეთ წინაშე შენსა ნებსით და უნებლიეთ, ცნობით და უმეცრებით. მამეც მე მოტევება ცოდვილსა, რათა აღმოშობიდგან ემბაზისა კეთილად მყოფი ვევედრები დღეინდელად დღემდე მცოდუშლი წინაშე ღვთაებისა შენისა, ყოვლი-

			თა საგრძნობელითა და ყოვლითა ნაწევრითა სხეულისა ჩვენისათა. შეინყაღენ ქმნულნი შენნი და მეცა მრავალმცოდუშლი.
9	ყოვლისმფარველო უფალო, დაზდე შემნახავათ თუალსა ჩემსა შიში შენი წმინდა. არა ავხედო უკეთურთა და ყურთა ჩემთა არა შეადვიდღეს სმენა სიტყუა ბოროტისა და რათა არ იქმნეს გულით ჩემით ფიქრი ბოროტობისა და პირი ჩემი არა უთხოვდეს სიმტყუანესა და ხელი ჩემი არა მოიქმედდეს უკეთურობასა და ფეხი ჩემი არა ვიდოდეს გზასა ურჯულოვობისასა. არამედ ჰყავ საძრაობა ამათი მართალ, რათა იყვნენ მარადის მცნებასა შენსა.	ყოველთა შემბრალევი უფალო, დასდევი საცოთუალთა ჩემთა და შიში შენი წმიდა, არა მიხედოს ცოდვასა და ყურთა ჩემთა არა უგდონ სმენად სიტყვას ბოროტსა და პირი ჩემი არა იტყოდეს ტყუვილსა და გული ჩემი არა ფიქრობდეს ბოროტსა და ხელთა ჩემთა არა ქმნან უსამართლობა და ფეხთა ჩემთა არა იარონ გზათა უშჯულოვებისათა, არამედ განასწორე ძვრა ამათი, ყოფდეს მუდამ ბრძანებითა შენითა ყოველსა. და შეინყაღე შენი გაჩენილი და მე მრავალის ცოდვის მოქმედი.	უფალო, მფარველო ყოველთაო, დასდევი ზღუდე თუალთა ჩემთა შიშითა სინმიდისა შენისათა, რათა არა ხედვიდენ ცოდვასა და სასმენელთა ჩემთა, არა ყურად იღონ და დატყბენ სიტყვითა უსჯულოებისათა და ბაგეთა ჩემთა არა თქმად სიცრუე და გულსა ჩემსა არა გულისხმისყოფად წინაღმდეგ სჯულისა და ხელთა ჩემთა არაქმნად უმართლოება და ფერხთა ჩემთა არასლვად გზათა უსჯულოებისათა, არამედ წარმმართნეთ სლუანი ჩემნი გზასა ზედა ყოველთა მცნებათა შენთა თანა. შეინყაღენ ქმნულნი შენნი და მეცა მრავალმცოდუშლი.
10	ცეცხლო ცხოვრებისაო ქრისტევი, ცეცხლი სიყვარულისა შენისა, რომელი მოჰფინე ქვეყანათ, აეგზენ სულსა ჩემსა, რამეთუ დასწვა ბაყალი სულისა ჩემისა	ცეცხლო ცხოველო ქრისტევი, ცეცხლი სიყვარულისა შენისა, რომ ჩამოაგდევი ქუეყანათ, ალაგზენ სული ჩემი, რაითა დანვას ბაყლი სულისა ჩემისა და განწმიდე ტანჯვა გულთა ჩემთა, განათეთ-	ქრისტე ცხოველმყოფელო, ცეცხლი სიყვარულისა შენისა, რომელიცა მოჰფინე ქუეყანასა ზედა და ალაგზენ სულსა შინა ჩემსა და აღბოცენ სენნი სულისა ჩემი-

	და გასწმიდო ჭმუნვა გულისა ჩემისა და გასწმინდო ცოდვა ტანისა ჩემისა და აენტოს ცეცხლი მეცნიერობისა შენისა გულსა ჩემსა. შეი.	რე ცოდვისაგან ჯორცი ჩემი, აღანთე ნათელი სიბრძნითა შენითა გული ჩემი. და შეინყაღე შენი გაჩენილი და მე მრავალის ცოდვის მოქმედი	სანი, განანათლე სინიდისი ჩვენი და განსწმიდენ გვამნი ჩვენნი და გამოაპრწყინუშლენ ნათელი მეცნიერებისა შენისა გულსა შინა ჩემსა. შეინყაღენ ქმნულნი შენნი და მეცა მრავალმცოდუშლი.
11	სიბრძნეო მამისავ, იესო, მომეც სიბრძნე მე კეთილი ფიქრისა, თქმისა და ქნისა წინაშე შენსა ყოველსა ჟამსა ბოროტის ფიქრისა, სიტყვისა და მოქმედილობისაგან მინახე და დამიხსენ. შეინყაღე გაჩენილი შენი და მე...	სიბრძნეო მამისაო, იესო, მომეც მე სიბრძნე კეთილი, ფიქრი და ლაპარაკი და საქმე შენს წინაშე ყოველსა ჟამსა, ბოროტის ფიქრისაგან, სიტყვისაგან, საქმისაგან მიხსენ მე. და შეინყაღე შენი გაჩენილი და მე მრავალის ცოდვის მოქმედი.	სიბრძნეო მამისაო, ჰი იესო, მომეც მე სიბრძნე და მომეც მე კეთილგონიერება, მეტყუჴლება და ქმნა წინაშე შენსა, ყოველთა ჟამთა დამიფარე მე ბოროტთა გულისსიტყვათა, განზრახუათა და საქმეთაგან. შეინყაღენ ქმნულნი შენნი და მეცა მრავალმცოდუშლი.
12	მნებევ კეთილისავ, უფალო ნების მომქმედო, ნუ დამიტევებ მე ნებასა ხორცისასა ზედან წასვლასა ჩემსა, არამედ მიწინამძღვრე მე. ვიქმნე ნებასა შენსა კეთილმოყვარობითა. შეინყაღე გაჩენილი შენი და მე...	მდომელო კეთილთაო, უფალო, ნება ჰყავ, ნუ მიმიშვებ ნებასა ზედა თავისა ჩემისასა წარსვლად, არამედ ვიძულო მე ყოფად მუდამ ნებათა შენთა კეთილყვარებით. და შეინყაღე შენი გაჩენილი და მე მრავალის ცოდვის მოქმედი.	უფალო კეთილმოყუარეო, ნებისა ჩემისა მმართველო, ნუ მიმიშუშებ მე მიდრეკილებისამებრ გულისა ჩემისა ახლად ესრედ წარმართ სლუა ჩემი, რათა მარადის ვიდოდე მე შედგომილი ნებისა შენისა, რომელიცა აღირჩევს მხოლოდ კეთილსა. შეინყაღენ ქმნულნი შენნი და მეცა მრავალმცოდუშლი.
13	მეუფევ ზეციერო, მომეც მე სუფევა შენი, რომელი დაპირდი საყვარელთა შენთა და განაძლიერე	მეუფეო ზეცათაო, მომეც მე სუფევა შენი, რომელ აღუთქვი მოყვარულთა შენთა და განაძლიერე გული ჩემი მოძულებად	მეუფეო ზეცათაო, მომეც მე სუფევა შენი, რომელიცა აღუთქა შენ შეყუარებულთა შენთა და განაძ-

	გული ჩემი, რათა ვი- ძულებდე ცოდვასა და გიყვარებდე შენ მარტო და ვიქმოდე ნებასა შენსა. შეიწყ- აღე გაჩენილი...	ცოდვათა და შეგიყვარო შენ მარტო და ვქნა ნება შენი. და შეიწყაღე შენი გაჩენილი და მე მრავა- ლის ცოდვის მოქმედი.	ტკიცე გული ჩემი მოძულებად ცოდვა- თა და შენ მხოლოდსა შეყვარებად და ქმნად ნებისა შენისა, შეიწყაღენ ქმნულნი შენი და მეცა მრავალ- მცოდნე.
14	უხვათ გამჩენო, დაჰ- ფარე სასწაულით მსჯავრისა შენისათა სული და ხორცი ჩე- მი განხეთქილი ცოდ- ვისაგან და საცდუ- რისა ეშმაკისაგან და კაცთა უსამართლო- საგან და ყოველისა ჭირებისაგან სული- სა და ხორცისა. შე- იწყაღე გაჩენილი შე- ნი და მე...	შემბრალევი გაჩენილთაო, დაიცევი ნიშნით ჯვარისა შენისით სული, ჴორცი ჩე- მი მაცდურთა ცოდვათა და განსაცდელთა ეშმაკ- თაგან და კაცთა უსამარ- თლობათაგან და ყოველის ჭირისაგან სულისა და ჴორცისა. და შეიწყაღე შენი გაჩენილი და მე მრავალ- ის ცოდვის მოქმედი.	მზურნელო თქმულ- თა შენთათვის დაი- ცევი შიშნი ჴუარისა შიშისათა სული და ხორცი ჩემი საც- დურთაგან ცოდვა- თასა განცდისაგან ეშმაკთასა კაცთაგან უსამართლოთა და კაცთაგან ძვირთა სულიერთა და ხორ- ციელთაგან შეიწყა- ღენ ქმნულნი შენნი და მეცა მრავალმცოდ- ნე.
15	შემნახაო ყოველთა- ო, ქრისტევი, მარჯვე- ნი შენი მფარველი ამყოფე ჩემ ზედა, დღისითა და ღამით, ჯდომასი და სიარ- ულში, სახლში და მგზავრობაში, ძილში და ფხიზელში, რამე- თუ არაოდენს არა ვიძრუნდე. შეიწყაღე გაჩენილი შენი და მე ფრთხად...	მფარველო ყოველისაო, ქრისტევი, მარჯვენი შენი იყოს მფარველი ჩემ ზე- და, დღე და ღამე. და მჯდომი სახლსა შინა და წარსვლად გზასა, დანო- ლად და აღდგომად, რამე- თუ არაოდენს ვიძროდე. და შეიწყაღე შენი გაჩენი- ლი და მე მრავალის ცოდ- ვის მოქმედი.	მფარველო ყოველ- თაო, დამიცევი მარ- ჯუენითა ძლიერები- სა შენისათა დღისით და ღამით უკუეთუ ვსჯდე სახლსა შინა, გინა ვლიდე გზასა ზედა ანუ მეძინოს, გინა ვღვიძარებდე (!), რათა არა შევიდე განსაცდელსა შეიწყა- ღენ ქმნულნი შენნი და მეცა მრავალმცოდ- ნე.
16	ღმერთო ჩემო, რო- მელი განაღებ ხელსა შენსა და აღგვამსეფ ყოველის დაბადებუ- ლის მოწყალებითა შენითა, შენ შეგაე- ვედრებ სულსა ჩემსა და იზრუნე და მომი-	ღმერთო ჩემო, რომელი განაღებ ხელთა შენთა და აღავსებ ყოველსა გაჩე- ნილსა წყალობითა შენი- თა და შენ მოგანდობ სულსა ჩემისა და შენ ინაღვლე და განუმზადე სარჩო სულისა და ჴორ-	ღმერთო ჩემო, გან- მატარებელო ხელისა შენისაო და აღმავსე- ბელი ყოველისა ცხო- ველისა, კეთილმნე- ბელობითა შენითა შენ შეგავედრებ სულსა ჩემსა, იღვი-

	ზადე სახმარი სული- სა და ხორცისა ამას იქით, ვიდრე უკუნი- სამდე. შეინყაღე გა- ჩენილი შენი და მე...	ცისა ჩემისა ამიერიტგან და ვიდრე უკუნისამდე. და შეინყაღე შენი გაჩენი- ლი და მე მრავალი ცოდ- ვის მოქმედი .	ძებდი და ნუ დამიტე- ვებ მე საჭიროებათა შინა ჩემთა, სულიერ- თა და ხორციელთა, ამიერიდგან და უკვე შეინყაღენ ქმნულნი შენნი და მეცა მრავალმცოდნეული.
17	მომაქცევდელი დაბ- ნეულთაო, მომაქციე მე ბოროტის ჩვეუ- ლებისაგან კეთილ ჩვეულობასა ზედან და შემტყუალე სულსა ჩემსა საძრწუნელი დღე სიკუდილისა და შიში გეჰენისა და სიყვარული სასურ- ფეველისა (!) მამეც, რამეთუ შევინანო ცოდვანი და ვქნა სი- მართლე. შეინყაღე გაჩენილი შენი და მე...	დამბრუნებელი შეცთო- მილთაო მომაქციე მე ბო- როტის ჩვეულებათა ჩემ- თაგან და კეთილი ჩვეუ- ლებასა ზედა დამამტკი- ცე და განსტყუალე სულსა ჩემსა საზარელი დღე სიკ- ვდილისა და შიში გეჰენი- სა და სიყვარული სუფე- ვისა, რამეთუ შევინახო ცოდვათაგან და ვქმნა სი- მართლე. და შეინყაღე შენი გაჩენილი და მე მრავალი ცოდვის მოქმედი.	მომაქცევდელი შეც- დომილთაო, მომაქ- ცივე მე ბოროტ- თაგან ჩუეულებათა კეთილზნეობისადმი და დანერგე სულსა შინა ჩემსა შესაძრწუ- ნებელი დღე სიკვდი- ლისა შიში გენიისა და სიყვარული სასუ- ფეველისა ცათასა, რათა ვინანდე ცო- დუათა ჩემთა და ვიქ- მოდე სიმართლესა. შეინყაღენ ქმნულნი შენნი და მეცა მრავალმცოდნეული.
18	წყაროვ უკვდავები- საო, გამოადინე გუ- ლისა ჩემისაგან ცრემლი სინანულისა, ვითა არცა დედა- კაცი მეძავი, რამეთუ განბანო ცოდვანი სულისა ჩემისასა, უწინარე ვარ ამის სოფლიდამე. შეინყა- ღე გაჩენილი შენი და მე...	-	წყარო უკვდავებისა- ო, ქმენ გული ჩემი წყაროდ ცრემლთა მჭვრეტელისა სინა- ნულისათა, ვითარცა მეძავისა მის დედაკა- ცისა, რათა განიბა- ნოს მწიკულისა სუ- ლისა ჩემისა, ვევედ- რე განსვლადმდე ჩემსა ამიერსოფლი- თა, შეინყაღენ სულ- ნი შენნი და მეცა მრავალმცოდნეული.
19	მომნიჭებელი მოწყ- ალებისაო, მამინიჭე მე მართალი სარწმუ- ნოებით კეთილი მოქმედებობა წმინ- დის სისხლითა და	-	მოწყალეო უფალო, მომეც მე სარწმუ- ნობასა შინა მართლმა- დიდებლობისა კეთი- ლითა საქმითა და ზი- არებითა წმიდის

	ხორციტა. ზიარება და მოსვლა შენ თანა. შეინყაღე გაჩენილი შენი და მე ფრიად...		ხორცის და სისხლის შიშისათა (!) მოსვლად შენდა. შეინყაღენ სულნი შენნი და მეცა მრავალმცოდუშლი.
20	სიკეთევ უფალო, ანგელოზი კეთილისა მამივლინე მე თუ სიტკბოებით მიიბაროს სული ჩემი და გატას (!) შეუძრწუნებელათ მათ შიგა, რომელნიც არიან ქვემოთ ზეცასა. შეინყაღე გონილი (!) შენი და მე ფრიად ცოდვილი...	-	კეთილმოქმედო მეუფეო, არწმუნე სული ჩემი კეთილსა მცველსა ანგელოზსა, რათა მშვიდობით წარმართოს სვლა შენი და განმარინოს მანქანებათაგან ჰაერისმცველთასა, შეინყაღენ სულნი შენნი და მეცა მრავალმცოდუშლი.
21	ნათელო ჭეშმარიტო, ქრისტევ, ღირსეულ ჰყავ სული ჩემი სიხარულითა ხილვისა ნათლისა დიდებისა შენისასა დღესა წოდებისასა. განსვენება კეთილისა მოქმედმართლისა განსასვენებელში ვიდრე დღესა დიდსა მოსვლისა შენისასა. შეინყაღე გაჩენილი შენი.	ნათელო ჭეშმარიტო ქრისტევ, აღირსე სულსა ჩემსა სიხარულით ნახვა ნათლისა დიდებათა შენთა მოწოდების დღესა განსვენებად სასოებით კეთილსა სადგომსა მართალთა, ვიდრე დღესა მას დიდსა მოსვლისა შენისასა. და შეინყაღე შენი გაჩენილი და მე მრავალი ცოდვის მოქმედი.	ქრისტეო ნათელო, ქრისტეო, ღირს-ჰყავ სული ჩემი სიხარულიდ ხილვად ნათელსა დიდებისა შენისასა, ოდეს მიწოდო მე დღესა განჩინებულსა. და განუსუშვნე სასოებითა ყოვლითა სავანეთა შინა მართალთასა, ვიდრე დღემდე დიდისა მის მოსვლისა შენისა. შეინყაღენ სულნი შენნი და მეცა მრავალმცოდუშლი.
22	მოსამართლე მართალო, რაჟამს მოხვიდე დიდებითა მამისათა, სასამართლოთა ცოცხალთა და მკვდართა, ნუ შემოხვალ სასამართლოთა ცოცხალთა და მკვდართა, ნუ შემოხვალ სასამარ-	მოსამართლე მართალო, რაჟამს მობრძანდე დიდებითა მამისა განკითხვად ცოცხალთა და მკუდართა, ნუ მისცემ სამართალში მონასა შენსა და კიდევ მიხსენ მე საუკუნო ცეცხლთაგან და განმაგონე მე ნეტარების დაძახება მართალთა ზეზად (!)	მსაჯულო მართალო, ოდეს მოვიდე (!) დიდებითა მამისა შენისათა განსჯად ცხოველთა და მკვდართა. ნუ შეხვალ სასჯელსა მონისა შენისა თანა, არამედ მიხსენ ცოცხლისაგან საუკუნოსა და სასმენელ

	თლოთ მონისა შენთა, არამედ მიხსენ საუკუნოსა ცეცხლისაგან და სმენა ჰყავ ჩემდა ნეტარებით ნოდება მართალთა და ზეცათა სასუფეველში მოიხსენიე. შეინყაღე გაჩენილი შენი და მე ფრიად ცოდვილი	სასუფეველისა. და შეინყაღე შენი გაჩენილი და მე მრავალი ცოდვის მოქმედი	ჩემდა ჰყავ ხმა სანეტარო მართალთა სასუფეველსა შინა ცათასა, შეინყაღენ ქმნულნი შენნი და მეცა მრავალმცოდუჭლი:
23	ყოვლად მოწყალე უფალო, შეინყაღე ყოველი მორწმუნე შენი უცხონი და ნაცნობნი და უცნობნი, ცოცხალნი და მკვდარნი, მიმადლე მტერთა ჩემთა და მოძულეთა მიტევება, რომელიცა მე მცოდამს და მოაქცივე ისინი ბოროტისაგან, რომელთაცა აქვს ჩემთვის რამე, მოწყალებასა შენსა ღირსი გახადე, შეინყაღე გაჩენილი...	ყოვლად მოწყალე უფალო და შეინყაღე ყოველნი მორწმუნენი შენნი ჩემთა უცხოთა ნაცნობთა და უცნობთა, ცოცხალთა და მკუდართა, აჩუქე მტერთა ჩემთა და მოძულეთა, შეუნდე რომელთ შემცოდეს და მოაქციე იგინი ბოროტისაგან, რომელთა აქვს ჩემთვის, რამეთუ წყალობითა შენითა ღირს იყვნენ. და შეინყაღე შენი გაჩენილი და მე მრავალი ცოდვის მოქმედი	ყოვლად სახერო უფალო, შეინყაღენ ყოველნი მორწმუნენი შენნი ნათესავნი და უცხონი, მცნობნი და უცნობნი, ცხოველნი და მკუდარნი, მტერნი და მოძულენი ჩემნი. მიეც მათ მიტევება ცოდვათა მათთა და მოაქციენ იგინი მსურვეობისაგან არაკეთილისა, რომლნიცა განიზრახვენ წინააღმდეგ ჩემდა, რათა იქმენ ღირს შენისა მოწყალებისანი, შეინყაღენ ქმნულნი შენნი და მეცა მრავალმცოდუჭლი
24	დიდებულო უფალო, მიიღე ვედრება მონისა შენისა, შემისრულე კეთილი თხოვნა ჩემი, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისა და იოვანე ნათლისმცემელისა და წმინდა სტეფანე პირველმონაშისა და წმიდისა	დიდებულ არს უფალი, მიითვალე ვედრება მონისა შენისა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისათა, იოვანე ნათლისმცემელისა და წმინდა სტეფანე პირველმონაშისათა და წმინდა გრიგოლის ჩვენი განმანათლებლისათა და წმიდათა მოციქულთა წინასწარ-	ნათელო და დიდებაო, მიითვალე ლოცვა მონისა შენისა და მოწყალებით ყურადღე ვედრება ჩემი, შუამდგომლობითა დედისა შენისათა და ნათლისმცემელისა იოვანესითა და წმიდისა პირველმონაშისა სტეპანესითა, წმი-

	გრიგოლ ჩვენი განმანათლებლისითა და წმინდა პატრიარქთა ნერსესითა და წმიდათა კატარინე და ჰრემსიმე ქალწულისათა და წმიდათა შენთა მოციქულთა, წინასწარმეტყველთა, ბერთა, წამებულთა, გადადგომილთა ქალწულთა და ყოველთა წმიდათა ზეციურთა და ქვეყნიერთასა, შენ დიდება, თაყვანისცემა, შენ გაუყრელო სამებაჲ, უკუნითი უკუნისამდე, ამინ!	მეტყველთა, მოძღუართა, წამებულთა, მამამთავართა, მეუდაბნოელთა, ქალწულთა მარტო მდგომთა და ყოველთა წმიდათა შენთა, ზეციერთა და ქვეყნიერთა და შენ დიდება და თაყვანისცემა გაუყრელოს სამებასა უკუნითი უკუნისამდე, ამინ!	დისა გრიგოლ განმანათლებლისა ჩვენი-სათა და წმიდათა მოციქულთა, წინასწარმეტყველთა, წმიდათა მოძღვართა და მონამეთა, წმიდათა პატრიარხთა, მეუდაბნოეთა და ყოველთა სათნოთა შენთა ქალწულთა და ყოველთა წმიდათა შენთა ზეცის და ქვეყანისათა და შენდა წმიდაო და განუყოფელო სამებაო იყავნ დიდება და თაყვანისცემა უკუნითი უკუნისამდე, ამინ.
--	--	--	--

გამოყენებული ლიტერატურა:

- ანტონ საქართველოს კათოლიკოსი** (1892). მზამეტყველება, ტფილისი.
- მელიქსეთ-ბეგი, ლ.** (1945). გიორგი გორელი-უცნობი ქართველი და სომეხი მწერალი XVIII საუკუნის პირველი ნახევრისა. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, X-B. თბილისი, გვ. 89-122.
- ჩანტლაძე, ნ.** (2023). XVIII ს-ის ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობების ერთი ახალი ეპიზოდი, თარგმანი და ლიტერატურული ურთიერთობები, სამეცნიერო კვლევები, თბილისი, 2023, გვ. 97-103.
- Nersetis Clajensis Armeniorum Patriarchae**, (1823). *Preces S.[i.e. Sancti] Nersetis Clajensis Armeniorum Patriarchae: viginti quatuor linquis editae, Venetiis* .
- Nersetis Claensis Armeniorum Patriarchae** (1862) *Triginta Tribus Linguis, Venetiis*.
- Насикиян А.А.** (ed) (2000). *The Heritage of Armenian Literature, volume II*, Wayne State University Press, pp.391-426
- Шнорали Нерсэс** (1786). *С Верою Исповедую*, Типографии Григория Халдарова, С-Петербург

Nerses Shnorhali was a renowned Armenian figure, philosopher, poet, and translator of the 12th century, and a representative of the Pahlavi dynasty. His literary activity is diverse, encompassing homiletic, exegetical, polemical, and dogmatic writings. Nerses Shnorhali is distinguished as both a Catholicos and a public figure, a defender of his country's and people's interests. He became the Catholicos of Armenia in 1166, succeeding his brother, Gregory, in this position. Cilician Armenia faced a great challenge at the end of the 12th century. Nerses, as Catholicos of Armenia, was a key participant in the meeting with Theophanes, the representative of Emperor Manuel, held in Hromkla, in 1170. During this meeting, a debate took place on the beliefs of the Armenian Church. In that same year, Nerses Shnorhali wrote one of his most famous works, 'I Confess by Faith,' which stands as the finest example of the poetic transformation of the creed. The simplicity and refinement of its form made the work particularly famous and popular. In 1823, the Mkhitarists of Venice published a translation of this prayer in 24 languages, including Georgian.

The research of Georgian manuscripts preserved at the Georgian National Center of Manuscripts, at the Mesrop Mashtots Research Institute of the Ancient Manuscripts - Matenadaran, and in private collections revealed that there are translations of Nerses Shnorhali's 'I Confess by Faith' that differ from the published text, completed during the 18th-19th centuries. The study of the texts revealed three translations of 'Confession by Faith,' two from Armenian and one from Russian.

One translation of 'Confession by Faith' is written by the Armenian writer and translator Gevorg Goreli, who was writing in Georgian and was resident of Georgia in 18th c. (The manuscript No. 81 is preserved in the Foreign Manuscripts Collection at the Matenadaran). Additionally, manuscript No. 108, preserved in the same collection and believed to belong to him, contains another translation of Nerses Shnorhali's work done by Farnavaz Batonishvili, the son of King Erekle II, from Russian. This manuscript dates back to 1814. Another translation is preserved in a Catholic prayer transcribed in Istanbul in 1775 (The Georgian National Center of Manuscript, Q-535). A comparison of the texts of the Shnorhali prayer found in two manuscripts preserved in a private collection with the existing translations revealed that these texts are a revised literary version of Farnavaz Batonishvili's translation and the prayers in the Catholic prayer book.